



**ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახური**

27 ივლისი 2023



N 802

ქ. თბილისი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აუდიტორების
განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების შესახებ**

„განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N5-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, 2023 წლის 22 ივნისს სამსახურისათვის წარდგენილ იქნა საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის (აბფმფ) N-ფა/2-04 წერილი (რეგისტრაციის N107204/16; 22.06.2023წ) აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ. სამსახურის მიერ წარდგენილი წინადადებების გათვალისწინებით (სამსახურში რეგისტრაციის N16/58054, 18.07.2023წ.), პროფესიულმა ორგანიზაციამ 2023 წლის 25 ივლისს დამატებით წარადგინა N-ფა/2-05 წერილი (სამსახურში რეგისტრაციის N126983/16; 25.07.2023წ.) განახლებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის შესახებ.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „განგრძობითი განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N5-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დასრულდეს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;
2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს 2023 წლის 25 ივლისის N-ფა/2-05 კორესპონდენციით (სამსახურში რეგისტრაციის N126983/16; 25.07.2023წ.) წარმოდგენილი აუდიტორების განგრძობითი განათლების 2023 წლის პროგრამა;
3. მიენიჭოს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის ნომერი - SARAS-CPD019/23;
4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს აბფმფ-ს მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება, ხოლო აბფმფ-ს - ლექციაზე მსმენელთა ელექტრონულად დასწრებისათვის გათვალისწინებული, ელექტრონული უზრუნველყოფის (შესაბამისი ბმულების) შესახებ ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდება;

5. დაევალოს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას აღიარებული აუდიტორების განგრძობითი განათლების პროგრამის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfaafm.ge);

6. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციას ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) დღის ვადაში;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი N64, პეკინის ქ. N29 - ბულაჩაურის ქ. N7ა).

თორნიკე ძაგნიძე



სამსახურის უფროსი - მ.შ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

<https://edoc.mof.ge/public/#/802-16-4-202307271758>

